



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI



ოქმი:ლ65.6522105001

თარიღი:15/04/2022

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 4

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 13.04.2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, თორნიკე ერისთავი, ალექსანდრე მჟავანაძე, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა ძაგნიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ივანე კორძაძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგელიძე**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭეიშვილი**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს. გიორგი ივანიაძე

2. სსიპ „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალომინაოს საჯარო სკოლისათვის“ აკადემიკოს კონსტანტინე დავითის ძე ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. გიორგი ივანიაძე

3. საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, მარტის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

მომხს. გელა ჩიკვაიძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

5. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ;

მომხს. ივანე მამაფორია

7. „საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივ თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის

მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.

მომხს. მამუკა ნამიჭეიშვილი

8. სხვადასხვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ დადგენილებაზე მთავრობის ადმინისტრაციიდან მოვიდა სამართლებრივი შენიშვნა. კერძოდ ითხოვენ დადგენილებაში შეიტანონ ცვლილება და დაკონკრეტდეს თარიღები, როდის გაიცემა ეს წახალისება. გათვალისწინებული იქნა ეს შენიშვნა, შეიცვალა დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და დადგენილება წარმოადგინა ახალი რედაქციით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 1

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა სსიპ „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალომინაოს საჯარო სკოლისათვის“ აკადემიკოს კონსტანტინე დავითის ძე ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სალომინაოს სკოლის სამეურვეო საბჭოდან შემოსულია განცხადება. მომზადებულია ყველა პროცედურული საკითხი და ითხოვენ თანხმობას, რომ სკოლას მიენიჭოს აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის სახელი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალომინაოს საჯარო სკოლისათვის“ აკადემიკოს კონსტანტინე დავითის ძე ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

განკარგულება N გ-65.65221031

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 4 აპრილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მარტის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ 675 ლარი თითოეულს. (ჯამში -6750 ლარი).

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე“;

განკარგულება N გ-65.65221036

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ხამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ 2022 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეირჩა 64 პროექტი ღირებულებით 580000 ათასი ლარი და წარმოადგინა ეს პროექტები. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს პროექტები შერჩეულია მოსახლეობასთან შეხვედრების და მათი მოწონების მიხედვით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 26

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

განკარგულება N გ-65.65221034

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიადი ვაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილია მუნიციპალური საკუთრების 8 ობიექტი და წარმოადგინა ეს ობიექტები საპრივატიზებო ღირებულებით:

1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდებარე 16500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.21.358), საწყისი საპრივატიზებო საფასური 11550 (თერთმეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი;
2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდებარე 16000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.21.357), საწყისი საპრივატიზებო საფასური 11200 (თერთმეტი ათას ორასი) ლარი;
3. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბზვანში მდებარე 1041 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.08.24.410), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი.
4. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 950 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.263), საწყისი საპრივატიზებო საფასური 665 (ექვსას სამოცდახუთი) ლარი
5. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშოში მდებარე 2000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.24.773) საწყისი საპრივატიზებო საფასური 1400 (ათას ოთხასი) ლარი;
6. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 6100 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.17.21.776), საწყისი საპრივატიზებო საფასური 4270 (ოთხი ათას ორას სამოცდაათი) ლარი;
7. ქ. ვანში, სააკადის ქუჩაზე მდებარე 732 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.29.440), საწყისი საპრივატიზებო საფასური 8800 (რვა ათას რვაასი) ლარი.
8. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მთისძირში მდებარე 96650 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საწყისი საპრივატიზებო საფასური 67655 (სამოცდაშვიდი ათას ექვსას ორმოცდათხუთმეტი) ლარი. წლიური საიჯარო ქირა 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 26

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.“

მოხსენეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ;“ მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ :

ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობები განისაზღვრა - 6900,0 ათასი ლარით, გადასახდელები - 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება განისაზღვრა 700,0 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცხრაჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 16518,0 ათასი ლარის, გადასახდელები 17784,7 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის მოცულობით.

2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 16368,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 16523,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,0% -ს შეადგენს.

გადასახადების 2021 წლის საპროგნოზო მოცულობა 6652,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 6974,5 ათასი ლარი წლიური გეგმის 104,8% -ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2021 წლის გეგმა 9192,0 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 9050,8 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 98,5%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 523,2 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 498,5 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 95,3%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 7745,8 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 7563,0 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 97,6%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური გეგმა 9833,3 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულება 7210,4 ათასი ლარია, გეგმიური მაჩვენებლის 73,3%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2021 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 150,0 ათასი ლარი გამოიყო, საიდანაც საქონლისა და მომსახურების მუხლით 4,9 ათასი ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 145,1 ათასი ლარი მიიღარა.

მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ითხოვა გელა ჩიკვაიძემ. მან აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა ეს საკითხი და მომზადდა განკარგულების პროექტი, რომელიც წარმოუდგინა საკრებულოს დასამტკიცებლად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ;“

განკარგულება N 65.65221033

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივ თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ შერჩეულია 5 პროექტი თანხით 56679019 ლარი.

ეს პროექტებია:

1.გადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზენობნიდან გადიდის ტურისტულ ზონამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რებილიტაციის და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. თანხა 2572774 ლარი

2.გორას ადმინისტრაციულ ერთეულში ტაპალუროს ტბასთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. თანხა 1418559 ლარი

3.დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, დიხაშხოსგეიზერებთან მისასვლელი საავტომობილო გზის რებილიტაციის და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. თანხა 812125 ლარი

4.ქ. ვანში თავისუფლების ქ.65-ში მდებარე შენობის თავისუფალ ფართში მხართმცოდნეობის მუზეუმის განთავსება. თანხა 134036 ლარი

5. სოფ. მუქედში ბაღის მშენებლობა. თანხა 741525 ლარი

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივ თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.

განკარგულება N გ-65.65221035

დღის წესრიგით გათვალისწინებულ „სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

